ხელშეკრულება №45სბ-49სშ
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. თბილისი **„22“ „თებერვალი“ 2023წ.**

ერთი მხრივ, **სსიპ-საქართველოს ეროვნული არქივი** ს/კ 211358957 (შემდგომში ,,შემსყიდველი”) წარმოდგენილი გენერალური დირექტორის **თეონა იაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“** ს/კ 204598337 (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი თავმჯდომარის, **დავით ნადირაშვილის** სახით, თითოეული წოდებული მხარედ, ხოლო ერთობლივად-მხარეებად, ვმოქმედებთ რა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე–3 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის, ამავე ბრძანების მე-4 მუხლის მე-10 პუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-ციფრული მმართველობის სააგენტოს მიერ მომსახურების გაწევის საფასურების განაკვეთების, საფასურების გადახდის, მათი გადახდისგან გათავისუფლებისა და გადახდილი საფასურების დაბრუნების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 13 ივლისის N438 დადგენილების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1. ამ ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. **ხელშეკრულება** - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული, მხარეთა მიერ ხელმოწერილი, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულება, მისი ყველა დანართით და დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებული;

1.2. **ხელშეკრულების ღირებულება** - მომსახურების საერთო ღირებულება, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეული ყველა ხარჯის და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადების ჩათვლით, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის;

1.3. **მომსახურების ღირებულება** - შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის, ამ ხელშეკრულების დადგენილი წესით, პერიოდულად გადასახდელი თანხა;

1.4. **ინსპექტირება** - ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა;

1.5. **ინციდენტი** - მოვლენა, რომელიც აფერხებს სისტემის ან მისი კომპონენტის სრულყოფილ მუშაობას ან იწვევს მისი ფუნქციონირების შეწყვეტას.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისგან ამ ხელშეკრულების და ამ ხელშეკრულების დანართ(ებ)ით განსაზღვრული, ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისებით უზრუნველყოფის და მხარდაჭერის მომსახურების სრული პაკეტის IT მხარდაჭერის (CPV- 72200000), ინტერნეტმომსახურების (CPV-72411000) და ვირტუალური სერვერის განთავსების მომსახურების (CPV-72321000) სახელმწიფო შესყიდვა.

მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 182’552.50 (ას ოთხმოცდაორი ათას ხუთას ორმოცდათორმეტი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

3.2. ერთ თვეში გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 18’255.25 (თვრამეტი ათას ორას ორმოცდათხუთმეტი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება და მომსახურების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის პირობები, ვადა და ადგილი

4.1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მომსახურების გაწევა განხორციელდება 2023 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

4.2. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ადგილია შემსყიდველის მისამართი - ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისებით უზრუნველყოფის და მხარდაჭერის მომსახურების სრული პაკეტის IT მხარდაჭერის და ინტერნეტმომსახურების ნაწილში, ხოლო მიმწოდებლის მისამართი - ვირტუალური სერვერის განთავსების მომსახურების ნაწილში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით და ვადაში;

ბ) განიხილოს მომსახურებასთან დაკავშირებით შემსყიდველის პრეტენზიები და გონივრულ ვადაში მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტიდან ორი თვის შემდეგ წაშალოს მიმწოდებლის ინფრასტრუქტურაში განთავსებული შემსყიდველის ნებისმიერი ინფორმაცია (პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზა, დომეინ მომხმარებლები, ელექტრონული ფოსტები და ა.შ.), გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ამ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა გრძელდება;

ბ) შემსყიდველის მიერ მომსახურების ღირებულების, ამ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, გადაუხდელობის შემთხვევაში, არ გაუწიოს ან შეუწყვიტოს მომსახურების გაწევა შემსყიდველს;
გ) მოახდინოს მომსახურების შეზღუდვა ფორს-მაჟორული გარემოებების დროს (შეზღუდული მომსახურების აღდგენა განახორციელოს შეზღუდვის მიზეზის აღმოფხვრისთანავე) და ტექნიკური გაუმართაობის და პროფილაქტიკური სამუშაოების დროს (3 დღით ადრე შეატყობინოს შემსყიდველს, ტექნიკური გაუმართაობის დეტალური აღწერა და პროფილაქტიკური სამუშაოების დასრულების გონივრული ვადა, რომლის გასვლისთანავე უნდა განახორციელოს შეზღუდული მომსახურების აღდგენა). ხოლო არხის დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ დაზიანების აღმოფხვრა მოხდება, შემსყიდველის მხრიდან შემთხვევის დაფიქსირებიდან 15 საათის განმავლობაში;
დ) მოსთხოვოს შემსყიდველს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

5.3. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიიღოს მიმწოდებლისგან მომსახურება, თუკი ეს მომსახურება მიმწოდებლის მიერ განხორციელდა ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცვით;
ბ) აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის და პირობების შესაბამისად;
გ) მაქსიმალურად შეუწყოს ხელი მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების განხორციელებაში, რისთვისაც ის ვალდებულია მიაწოდოს მიმწოდებელს ყველა საჭირო ინფორმაცია, შეასრულოს მიმწოდებლის შესაბამისი მითითებები;
დ) ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, საკუთარი ხარჯით და რესურსით უზრუნველყოს მიმწოდებლის ინფრასტრუქტურაში არსებული, შემსყიდველის ინფორმაციის (პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ბაზა, დომეინ მომხმარებლები, ელექტრონული ფოსტები და ა.შ.) მიმწოდებლისგან სრულად წაღება ხელშეკრულების შეწყვეტიდან ორი თვის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ამ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა გრძელდება;
ე) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

მუხლი 6. ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია აწარმოოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის ინსპექტირება ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.

6.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას განახორციელებს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ზვიად მელქაძე (577-340-581, zvmelkadze@archives.gov.ge) ან/და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ქსელის ადმინისტრატორი, მაკა მამუკაშვილი,(577-340-584; mmamukashvili@archives.gov.ge), ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს. ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირთა გარდა უფლებამოსილი პირები არიან აგრეთვე მათი მოვალეობის შემსრულებელი პირები.

6.3. ინსპექტირებისას დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის მოთხოვნა, რომელიც კონფიდენციალურია და მისი გამჟღავნება შეიცავს საფრთხეებს სისტემის ფუნქციონირებისთვის (მაგ: სისტემის ლოგიკური არქიტექტურა, პაროლები და სხვა მსგავსი ინფორმაცია).

6.4. ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მხარეთა უფლებამოსილი პირები არიან: შემსყიდველის მხრიდან - ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ზვიად მელქაძე (577-340-581, zvmelkadze@archives.gov.ge) ან/და ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის ქსელის ადმინისტრატორი, მაკა მამუკაშვილი,(577-340-584; mmamukashvili@archives.gov.ge), მიმწოდებლის მხრიდან - **მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯერი, ბერდია ჩოხელი (მობ: 591034858 ელ-ფოსტა - bchokheli@dga.gov.ge).** ამ პუნქტით გათვალისწინებულ პირთა გარდა უფლებამოსილი პირები არიან აგრეთვე მათი მოვალეობის შემსრულებელი პირები.

6.5. ხელშეკრულების 6.4. პუნქტში მითითებული პირები ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ერთმანეთს დაუყოვნებლივ აცნობებენ 6.4. პუნქტში მითითებულ პირთა მონაცემებს (სახელი, გვარი, ტელეფონი და ელექტრონული ფოსტა) და ინფორმაციას ამ პირთა უფლებამოსილების შეწყვეტის ან/და ცვლილების შესახებ.

მუხლი 7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1. მომსახურების მიღება ხორციელდება ყოველთვიურად, მომსახურების გაწევის შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტი მხარეთა შორის გაფორმდება შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირ(ებ)ის მიერ შედგენილი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

მუხლი 8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში (ლარში), უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული, მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად. **დაფინანსების წყარო: 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებებიდან - 35'250.50 (ოცდათხუთმეტი ათას ორას ორმოცდაათი ლარი და 50 თეთრი) ლარი, 2023 წლის საკუთარი შემოსავლებიდან - 147'302.00 (ას ორმოცდაშვიდი ათას სამას ორი) ლარი.**

8.2. მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება განხორციელდება წინასწარ მომსახურების გაწევის დაწყებამდე 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე. თუ ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. გადახდილი მომსახურების ღირებულების დაბრუნების წესი

9.1. შემსყიდველის მიერ გადახდილი მომსახურების ღირებულება მიმწოდებლის მიერ ბრუნდება:
ა) თუ შემსყიდველმა მომსახურების გაწევის დაწყებამდე მოითხოვა გადახდილი მომსახურების ღირებულების დაბრუნება;

ბ) თუ მომსახურების ღირებულება შემსყიდველის მიერ გადახდილია ამ ხელშეკრულებით დადგენილზე მეტი ოდენობით. ამ შემთხვევაში ბრუნდება სხვაობა გადახდილ თანხასა და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ განაკვეთს შორის.
გ) თუ ხელშეკრულება შეწყდა გადახდილი მომსახურების ღირებულების შესაბამისი მომსახურების სრულად გაწევამდე. ამ შემთხვევაში ბრუნდება გასაწევი მომსახურების ღირებულების პროპორციული თანხა.
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
9.2. ამ ხელშეკრულების 9.1. პუნქტით გათვალისწინებული თანხა მიმწოდებლის მიერ ბრუნდება შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნა უნდა შეიცავდეს გადახდილი მომსახურების ღირებულების ნაწილობრივ ან სრულად დაბრუნების ამ ხელშეკრულების 9.1. პუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს. შემსყიდველის მიერ წერილობითი მოთხოვნა მიმწოდებლისთვის წარდგენილ უნდა იქნეს მომსახურების ღირებულების გადახდიდან 3 (სამი) თვის ვადაში.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეუძლებლობა
10.1.ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს მხარის პასუხისმგებლობას, თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია შესრულების შეუძლებლობით (ფორს-მაჟორი).
10.2. ამ მუხლის მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (ფორს-მაჟორი) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი, ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, გაფიცვებით, საბოტაჟით ან სხვა საწარმოო არეულობით, ეპიდემიით, წყალდიდობით, სამოქალაქო მღელვარებით, ბლოკადით, აჯანყებით, მიწისძვრით, მეწყერების ჩამოწოლით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება წერილობით ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე მეორე მხარისგან გონივრულ ვადაში არ მიიღებს წერილობით პასუხს, იგი ვალდებულია გააგრძელოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შესაძლებლობის ფარგლებში, შექმნილი გარემოებების გათვალისწინებით.
10.4. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან ურთიერთდახმარების პირობაზე. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, უფლებამოსილია მეორე მხარეს სთხოვოს დამატებითი ადამიანური/ტექნიკური რესურსის გამოყოფა ან სხვა სახის დახმარება.
10.5. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული გარემოებების მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 11. კონფიდენციალურობის და პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დაცვა
11.1. ნებისმიერი ისეთი ინფორმაცია, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ცნობილი გახდა მხარეებისთვის და შესაძლოა წარმოადგენდეს ერთ-ერთი მხარისათვის კომერციულ ან სხვა სახის ფასეულობას, ასევე რომლის გავრცელებამ შეიძლება ზიანი მოუტანოს მეორე მხარეს, ითვლება კონფიდენციალურად და არ ექვემდებარება მესამე მხარისათვის გადაცემას ან გამოქვეყნებას მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შემთხვევაში, პირობის დამრღვევ მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთი პასუხისმგებლობა დადგება იმ შემთხვევაშიც, თუკი კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულების დამრღვევი მხარეა რომელიმე მხარის დაქირავებული პირი.
11.2. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, კონფიდენციალურად ითვლება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს რეალურ ან პოტენციურ კომერციულ საიდუმლოებას შემსყიდველისთვის, ასევე ყველა სხვა ინფორმაცია ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რომელიც მეორე მხარისთვის ცნობილი გახდა ამ ხელშეკრულების დადებისა და მისი შესრულებიდან გამომდინარე და ამავე პროცესში.
11.3. მხარეები თანხმდებიან, რომ დაიცვან მოლაპარაკებების საკითხების კონფიდენციალობა, მიმოწერები და სხვა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან, და არ გადასცენ ისინი მესამე მხარეს მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
11.4. კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება დარღვეულად არ ჩაითვლება, თუ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება განპირობებულია კანონისმიერი ვალდებულების შესრულების აუცილებლობით, ან/და, როდესაც ეს აუცილებელია სახელშეკრულებო ვალდებულებების შესასრულებლად.
11.5. პერსონალური მონაცემების დაბლოკვის, წაშლის, განადგურების ან პირის იდენტიფიცირების გამომრიცხავი ფორმით შენახვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შემსყიდველმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მიმწოდებელს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ.
11.6. ამ ხელშეკრულების ფარგლებში, პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში, მიმწოდებელი პერსონალურ მონაცემთა დასაცავად მიიღებს შესაბამის ორგანიზაციულ და ტექნიკურ ზომებს, ხოლო შემსყიდველი ვალდებულია მონიტორინგი გაუწიოს მიმწოდებლის მონაცემთა დამუშავებას.
11.7. ამ ხელშეკრულების ფარგლებში შემსყიდველის და მიმწოდებლის ნებისმიერი თანამშრომელი, რომელიც მონაწილეობს პერსონალურ მონაცემთა დამუშავებაში, ვალდებულია არ გასცდეს მისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს. ამასთანავე, მხარეს ეკისრება ვალდებულება უზრუნველყოს თანამშრომლის ინფორმირება, რათა მან დაიცვას მონაცემთა საიდუმლოება, მათ შორის, მისი სამსახურებრივი უფლებამოსილების შეწყვეტის შემდეგ.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა
12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
12.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
12.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, მეორე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. ცვლილების ინიციატორი მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ცვლილების თაობაზე ცვლილებამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე.

13.4. მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა წყდება:

13.4.1. წინამდებარე ხელშეკრულების ვადის გასვლით;

13.4.2. მხარეთა წერილობითი შეთანხმებით;

13.4.3. ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტით თუ მეორე მხარე არ ასრულებს ხელშეკრულებით დადგენილ პირობებს და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება დამრღვევი მხარის მიერ შეტყობინების მიღებიდან გონივრულ ვადაში.

13.4.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.5. ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.6. წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულების ნებისმიერი საფუძვლით ბათილობა/მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანი ხელშეკრულების ბათილობას/მოქმედების შეწყვეტას.

მუხლი 14. დავების გადაწყვეტა

14.1. მხარეთა შორის ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა საკითხი, დავა და ურთიერთობა რეგულირდება, განიმარტება და გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე ან მასთან დაკავშირებით წამოჭრილი სადავო საკითხები მხარეთა შორის წყდება ურთიერთმოლაპარაკების გზით.

14.2. ამ ხელშეკრულების 14.1. პუნქტით გათვალისწინებული ურთიერთმოლაპარაკების შედეგად შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადაწყვეტის მიზნით, მხარეებს შეუძლიათ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მიმართონ საქართველოს საერთო სასამართლოს.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2024 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 16. დასკვნითი დებულებები

16.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი თანაბარი იურიდიული ძალის მქონეა და ინახება როგორც შემსყიდველთან, ისე მიმწოდებელთან.

მუხლი 17. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
ს/კ 211358957
მისამართი:
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში,
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: TRESGE22,
მიმღების ანგარიში:

თეონა იაშვილი
გენერალური დირექტორი

მიმწოდებელი:

სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“
ს/კ - 204598337
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 22,
ტელეფონი: 240 58 18,
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი 709797499

ციფრული მმართველობის სააგენტო

Davit Nadirashvili
2023.02.22 17:45:21 +04'00'

დავით ნადირაშვილი
თავმჯდომარე

დანართი 1

ფასების ცხრილი					
სერვისის დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ღირებულება თვეში (ლარი)	CPV კოდები
ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) ინფრასტრუქტურის ადმინისტრირება და ადგილზე მომხმარებლის მხარდაჭერა	ერთეული მომხმარებელი თვეში	353	38	13414	72200000
ინტერნეტის მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურება	1 მბ/წმ (გლობალური ინტერნეტი) თვეში	20	30	600	72411000
ქსელური ურთიერთჩართვა მიმართულება თბილისი, გორგასლის 24ა - თბილისი, ვაჟა ფშაველას N1		40 მბ/წმ		500	72200000
მხარდაჭერის სპეციალისტის ადგილზე განთავსება		1		1000	72200000
გამოთვლითი ვირტუალური რესურსების მიწოდება (Vcpu, RAM, HDD) Sharepoint - სთვის	Vcpu (თვეში)	4	30	120	72321000
	RAM (თვეში)	8	15	120	
	HDD (თვეში)	4000	0.25	1000	
გამოთვლითი ვირტუალური რესურსების მიწოდება (Vcpu, RAM, HDD) digital.archives.gov.ge - სთვის	Vcpu (თვეში)	1	30	30	
	RAM (თვეში)	2	15	30	
	HDD (თვეში)	5000	0.25	1250	
გამოთვლითი ვირტუალური რესურსების მიწოდება (Vcpu, RAM, HDD) ORIS - სთვის	Vcpu (თვეში)	4	30	120	
	RAM (თვეში)	4	15	60	
	HDD (თვეში)	45	0.25	11.25	
ყოველთვიური გადასახადი				18’255.25	
ხელშეკრულების საერთო ღირებულება				182’552.5	

დანართი 2

ძირითადი სერვისები - IT მხარდაჭერის მომსახურება
• ინფორმაციული ტექნოლოგიების მომსახურება ტექნიკური მხარდაჭერის სატელეფონო ცენტრის, დისტანციური წვდომის ან მიმწოდებლის მიერ დადგენილი აუცილებლობის შემთხვევაში ინციდენტის ადგილზე მისვლის მეშვეობით.
• კომპიუტერული მხარდაჭერა მოიცავს, შემსყიდველის საკუთრებაში არსებული ოპერაციული სისტემის (Microsoft Windows) და კომპიუტერების პროგრამული მხარდაჭერის უზრუნველყოფას, პრინტერების/სკანერების მხარდაჭერას პროგრამული უზრუნველყოფის დონეზე
• შემსყიდველი ორგანიზაციის კომპიუტერული სისტემის და ქსელის გამართულად მუშაობისთვის, შემსყიდველმა უნდა გაითვალისწინოს მიმწოდებლის რეკომენდაციები მის მფლობელობაში არსებული კომპიუტერული ტექნიკის, პროგრამების, ფიზიკური ქსელის პარამეტრებისა და სტანდარტების შესახებ.
სერვისები
• ერთიანი კორპორატიული მონაცემთა ბაზით და ავტორიზაციის მოდულით უზრუნველყოფა (Active Directory);
• ელექტრონული საფოსტო სერვისი (Microsoft Exchange-ის გამოყენებით);
• Spam eMail ფილტრაცია;
• საკომუნიკაციო და საკონფერენციო სერვისი გარე მომხმარებლების ჩართვის ფუნქციონალით (Microsoft Skype for Business-ის გამოყენებით)
• შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე ინტრანეტ სერვისის მიწოდება (Microsoft Sharepoint -ის გამოყენებით): ◦ ფაილების გაცვლისა და ვერსიების კონტროლის სერვისი ◦ პროექტების მართვის მოდული
• უსაფრთხოების სერვისები
• შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, VoIP ტელეფონიის სერვისი: ◦ მომხმარებლის საკუთრებაში არსებული ტელეფონების კონფიგურაცია ◦ პროგრამული ტელეფონების (Soft Phone) ინსტალაცია და კონფიგურაცია ◦ სატელეფონო ცხელი ხაზის კონფიგურაცია და გამართვა
• ქსელური სერვისები: ◦ არსებული ფიზიკური კომპიუტერული ქსელის მომსახურება (არ ითვალისწინებს შენობაში ახალი/დამატებითი არხების და კაბელების გაყვანას) ◦ შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, დაშიფრული ქსელური კავშირის უზრუნველყოფა სხვა სახელმწიფო უწყებებთან (იგულისხმება აღნიშნული სამუშაოს მხოლოდ ტექნიკური ნაწილის შესრულება) ◦ შემსყიდველის კუთვნილი ქსელური აპარატურის კონფიგურაცია და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა
• პრინტერების/სკანერების მხარდაჭერა პროგრამული უზრუნველყოფის დონეზე
• სმართფონებზე ციფრული მმართველობის სააგენტოს სერვისების კონფიგურაცია. თავსებადი ოპერაციული სისტემებია: Android, IOS, Windows Mobile.
• ინტერნეტმომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერის სერვისი:
• ყველა ტექნიკური ინციდენტი, შემსყიდველის ნებისმიერი წარმომადგენლის მიერ უნდა დარეგისტრირდეს სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ ტექნიკური მხარდაჭერის დეპარტამენტში, ელექტრონული ფოსტის - support@cloud.gov.ge, ტექნიკური მხარდაჭერის სატელეფონო ცენტრის - 2 405 818 ან ტექნიკური მხარდაჭერის პორტალის support.cloud.gov.ge მეშვეობით, წინააღმდეგ შემთხვევაში მიმწოდებელი არ არის ვალდებული მოახდინოს რეაგირება დაურეგისტრირებელ ტექნიკურ ინციდენტებზე.
• სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტოს“ ტექნიკური მხარდაჭერის დეპარტამენტის სამუშაო საათებია, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით 09:00 დან 18:00 მდე. არასამუშაო საათებში დარეგისტრირებულ ტექნიკურ ინციდენტებზე რეაგირება მოხდება მომდევნო სამუშაო დღის განმავლობაში.

დანართი 3

№	დასახელება	მისამართი	მდებარეობა	ტექნიკური მხარდაჭერა
1	საქართველოს ეროვნული არქივი	თბილისი, ვაჟა- ფშაველას გამზ. №1	ცალკე შენობა	კი
2	თბილისის ცენტრალური არქივი	ზაქარიაძის ქ. №4	ცალკე შენობა	კი
3	ქუთაისის ცენტრალური არქივი	ირ. აბაშიძის ქ. №20ა	ცალკე შენობა	კი
4	სამცხე-ჯავახეთის რეგიონული არქივი	ალ. მანველიშვილის ქ. №5	ცალკე შენობა	კი
5	დუშეთის რეგიონული არქივი	დავით აღმაშენებლის ქ.№80	ცალკე შენობა	კი
6	ზესტაფონის რეგიონული არქივი	თამარ მეფის ქ. №31	ცალკე შენობა	კი
7	კახეთის რეგიონული არქივი	თელავი,შოთა რუსთაველის ქ. №83	ცალკე შენობა	კი
8	გურიის რეგიონული არქივი	ოზურგეთი, ილია ჭავჭავაძის ქ. №15	ცალკე შენობა	კი
9	დეპოზიტური შენახვის რეგიონული არქივი	თბილისი, ისანი-სამგორის რ-ნი, დიდი ლილო	ცალკე შენობა	კი
10	ქვემო ქართლის რეგიონული არქივი	რუსთავი, ხალხთა მეგობრობის გამზ. №20ბ	ცალკე შენობა	კი
11	სამეგრელოს რეგიონული არქივი	ზუგდიდი, ი. მეუნარგიას ქ. №11ა/ზ. გამსახურდიას ქ. №14ა	ცალკე შენობა	კი
12	მესტიის ადგილობრივი არქივი	თამარ მეფის ქ.№54	ცალკე შენობა	კი
13	ფოთის ადგილობრივი არქივი	წმინდა გიორგის ქ.№4	ცალკე შენობა	კი
14	თერჯოლის ადგილობრივი წარმომადგენლობა	თერჯოლა, შოთა რუსთაველის ქ. №95	ცალკე შენობა	კი
15	სამტრედიის ადგილობრივი წარმომადგენლობა	სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6	ცალკე შენობა	კი
16	წალენჯიხის ადგილობრივი წარმომადგენლობა	წალენჯიხა,ლ. ჭურღულიას ქ. №5	ცალკე შენობა	კი
17	ბორჯომის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ბორჯომი, რკინიგზის სადგურის მიმდებარედ	იუსტიციის სახლი	კი
18	გურჯაანის ადგილობრივი წარმომადგენლობა	გურჯაანი, თამარ მეფის ქ.№14	იუსტიციის სახლი	კი
19	თიანეთის ადგილობრივი წარმომადგენლობა	თიანეთი, ლ. სანიკიძის ქუჩა	იუსტიციის სახლი	კი
20	ლაგოდეხის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ლაგოდეხი, ზაქათლის ქუჩა	იუსტიციის სახლი	კი
21	ყაზბეგის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ყაზბეგი, ალ. ყაზბეგის ქ. №49	იუსტიციის სახლი	კი
22	ყვარელის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ყვარელი ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ	იუსტიციის სახლი	კი
23	მარნეულის ადგილობრივი წარმომადგენლობა	მარნეული, შოთა რუსთაველის ქ. №1	იუსტიციის სახლი	კი
24	მარტვილის ადგილობრივი წარმომადგენლობა	მარტვილი, კ. გამსახურდიას ქუჩა №2	იუსტიციის სახლი	კი
25	სენაკის ადგილობრივი წარმომადგენლობა	სენაკი, აკაკი ელიავას ქუჩა №23	იუსტიციის სახლი	კი

26	ონის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ონი, დავით აღმაშენებლის მოედანი №1	იუსტიციის სახლი	კი
27	ხონის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ხონი, მოსე - ხონელის ქ. №40	იუსტიციის სახლი	კი
28	ბოლნისის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ბოლნისი, სულხან-საბას ქ. №111ა	იუსტიციის სახლი	კი
29	ქარელის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ქარელი, ახალგაზრდობის ქუჩა №4	იუსტიციის სახლი	კი
30	გარდაბნის ადგილობრივი წარმომადგენლობა	გარდაბანი, დავით აღმაშენებლის ქ. N83	იუსტიციის სახლი	კი
31	წყალტუბოს ადგილობრივი წარმომადგენლობა	წყალტუბო, შოთა რუსთაველის ქ. N29	იუსტიციის სახლი	კი
32	ლენტეხის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ლენტეხი, დავით აღმაშენებლის ქ. N11	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
33	წალკის ადგილობრივი წარმომადგენლობა	წალკა, არისტოტელეს ქ. N10	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
34	ლანჩხუთის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ლანჩხუთი, თბილისის ქ. №5	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
35	საჩხერის ადგილობრივი წარმომადგენლობა	საჩხერე, კოსტავას ქუჩა №1ა	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
36	სიღნაღის ადგილობრივი წარმომადგენლობა	სიღნაღი, ირ. ევდოშვილის ქ.წნორი	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
37	დმანისის ადგილობრივი წარმომადგენლობა	დმანისი, მიხეილ ხერგიანის ქუჩა	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
38	ადიგენის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ადიგენი, თ. ერისთავის ქ. №32	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
39	ტყიბულის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ტყიბული თაბუკაშვილის ქ. №2 მიმდებარე ტერიტორია	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
40	თეთრიწყაროს ადგილობრივი წარმომადგენლობა	თეთრიწყარო ,დიდგორის ქ.№8	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
41	ცაგერის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ცაგერი რუსთაველის ქუჩა	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
42	ამბროლაურის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ამბროლაური, ვაჟა-ფშაველას ქ. №22	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
43	აბაშის ადგილობრივი წარმომადგენლობა	აბაშა თამარ მეფის ქ. №19	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
44	ხობის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ხობი, ც. დადიანის ქ.	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
45	ხარაგაულის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ხარაგაული, სოლომონ მეფის ქუჩა (რიყე)	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
46	ჭიათურის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ჭიათურა, ილია ჭავჭავაძის ქუჩის მიმდებარედ	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
47	ვანის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ვანი, თავისუფლების ქ. №59	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
48	ჩოხატაურის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ჩოხატაური, ნიკო მარის ქუჩა №1	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
49	ჩხოროწყუს ადგილობრივი წარმომადგენლობა	ჩხოროწყუ, სტალინის პირველი შესახვევი	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
50	ბაღდათის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ბაღდათი, კახიანის ქ. №84	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
51	დედოფლისწყაროს ადგილობრივი წარმომადგენლობა	შირაქის შესახვევის მიმდებარედ	საზოგადოებრივი ცენტრი	კი
52	ასპინძის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ასპინძის საზ. ცენტრის შენობაში	საზოგადოებრივი ცენტრი	კი

53	ნინოწმინდის ადგილობრივი წარმომადგენლობა	ნინოწმინდა, ალ. პუშკინის ქ.№43	საზოგადოებრივი ცენტრი	კი

შემსყიდველი:

სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი
ს/კ 211358957
მისამართი:
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში,
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი: TRESGE22,
მიმღების ანგარიში:

თეონა იაშვილი
გენერალური დირექტორი

მიმწოდებელი:

სსიპ „ციფრული მმართველობის სააგენტო“
ს/კ - 204598337
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 22,
ტელეფონი: 240 58 18,
საბანკო რეკვიზიტები:
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში;
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა;
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში /სახაზინო კოდი 709797499

დავით ნადირაშვილი
თავმჯდომარე